ხელშეკრულება

სარეკლამო მასალის ბეჭდვის შესახებ

ქ. თბილისი 16.12.2013 წ.

ერთის მხრივ, შპს „ალმა პლიუსი" (შემდგომში „შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი წარმომადგენლის რამაზ სულავას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „სახხერის კინო"(შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაკა ნებიერიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ დამკვეთის სასარგებლოდ წინასწარ შეთანხმებული დიზაინის სარეკლამო მასალის დაბეჭდვა;

1.2. სარეკლამო მასალის მახასიათებლები:

- ბანერი – 1 (ერთი) იმიჯი, ფართობი 3.02 კვ.მ.

2. სახელშეკრულებო თანხა და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბეჭდვის ღირებულება შეადგენს 61.71 ლარს

2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღის ვადაში;

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1. გაუწიოს მომსახურება დამკვეთს შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით;

3.1.2. გაუწიოს მომსახურება დამკვეთის მიერ სარეკლამო მასალის დიზაინის შემცველი ელექტრონული ინფორმაციის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

3.1.3. დამკვეთის მიერ არასრულფასოვანი ინფორმაციისა ან/და დოკუმენტაციის გადაცემის შემთხვევაში შეატყობინოს მას ხარვეზის შესახებ.

3.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს ყველა საჭირო დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რაც საჭიროა მის მიერ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის;

3.2.2. დამკვეთის მიერ არასრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მოითხოვოს ხარვეზის აღმოფხვრა;

3.2.3. დამკვეთის მიერ გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო;

3.2.4. მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება.

3.3. დამკვეთი ვალდებულია:

3.3.1. აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა შეთანხმებული პირობებით;

3.3.2. უმოკლეს ვადაში მიაწოდოს შემსრულებელს სარეკლამო მასალის დიზაინის შემცველი ელექტრონული ინფორმაცია;

3.3.3. შემსრულებლისათვის არასრულფასოვანი ინფორმაციისა ან/და დოკუმენტაციის მიწოდების შემთხვევაში უმოკლეს ვადაში გამოასწოროს ხარვეზი.

3.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.4.1. მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.2. დამკვეთის მიერ გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია გამოიყენოს საჯარიმო სანქცია და დააკისროს პირგასამტეხლო დამკვეთს გადაუხდელი თანხის 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაწყებული ვადაგადაცილების მეორე კალენდარული დღიდან;

4.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხარეთა შეხედულებისამებ და ჩაითვალოს სავალდებულო გადასახდელად შემსრულებლის მიერ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან.

5. ფორსმაჟორული გარემოებები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა და ა.შ.) მიზეზით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობებს აღემატებოდა;

5.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად დაუძლეველი ძალის გარემოებები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა, აცნობოს ასეთი გარემოებების დადგომის შესახებ მეორე მხარეს;

5.3. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

6.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:

6.2.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

6.2.2. ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლის გზით, თუ მეორე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მეორე მხარისათვის წერილობით შეტყობინების გზით.

7. დავის გადაწყვეტის წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერ დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემსრულებელის სასარგებლოდ გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს "ალმა პლიუსი"
ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ. № 6
ს/კ 204873388
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE76TB1100000002467090

რამაზ სულავა
წარმომადგენელი

შპ.ს. "საჩხერის კინო"
ქ.საჩხერე თავისუფლების 9
ს/კ 439392239
ს.ს. საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი
კოდი220102502

მაკა ხუციშვილი
დირექტორი